შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (9.681)

9-16 მაისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამარჯვების დღე და „ღიმილის ბიჭები“

70 წელი გავიდა, რაც მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა. ომის შედეგი:მილიონობით დაღუპული ადამიანი, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქალაქები და სოფლები. მსოფლიომ მაშინ დიდი მსხვერპლი გაიღო. საქართველოდან ომში წასული 700 000 ჯარისკაცი და 400 000-მდე დაღუპული ჯარისკაცი. წლების განმავლობაში ყოველ 9 მაისს ისინი ორდენებით მკერდდამშვენებულნი ხვდებოდნენ ერთმანეთს და ამ თარიღს. ახლა კი... ყოველწლიურად ომის ვეტერანების რიცხვი სულ უფრო მცირდება და დროის ცვალებადობასთან ერთად სულ უფრო სევდიანად იმზირებიან „ღიმილის ბიჭები“...

ალბათ მათ დანახვაზე ბევრ ახალგაზრდას გაუჭირდება იმისი წარმოდგენა, რომ ომში წასვლისას ეს ასაკოვანი ადამიანები სიცოცხლით გაუმაძღარი პირტიტველა ჭაბუკები იყვნენ...

“დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს” — არავის ეგონა, რომ ლადო ასათიანის ეს სიტყვები ტრაგიკული წინასწარმეტყველება აღმოჩნდებოდა მთელი იმ თაობისთვის, მათ შორის თვითონ პოეტებისთვისაც, რომლებიც ბრძოლის ველზე მამულიშვილური ვალის მოსახდელად წავიდნენ.

XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს ქართულ მწერლობაში ნიჭიერი ჯგუფი მოვიდა — პოეზიაში მარად ჭაბუკებად დარჩენილი თაობა. ისინი ადრე წავიდნენ ამქვეყნიდან, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვეს პოეზიაში, პოეტები, რომლებმაც ხალასი და ექსპრესიული ლექსებით ახალი მომხიბლაობა შემატეს ქართულ პოეზიას, საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას.

“ამ თაობას ნიკა აგიაშვილმა, პირობითად, “ჭაბუკები დარჩნენ მარად” დაარქვა. ესაა თაობა, რომელმაც ბევრწილად განსაზღვრა არა მხოლოდ ლიტერატურული გემოვნება, არამედ, მეგობრობის, სიყვარულის არაჩვეულებრივი მაგალითები დაგვიტოვა. მისი არჩვეულებრივი წარმომადგენლები არიან: მირზა გელოვანი, ლადო ასათიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ალიოშა საჯაია, ასლან ყოჩიაშვილი, სანდრო ჟღენტი, ალექსანდრე სულავა, გრიგოლ ხურციძე, ვლადიმერ უბილავა, ნიკო ხუციშვილი, სევერიან ისიანი, მიხეილ ფხაკაძე, შალვა სოსლანი, დავით პატატიშვილი. ადამიანები, რომლებმაც იციან ერთმანეთის ფასი და რომლებიც ძალიან კარგად კითხულობენ ერთმანეთის ლექსებს. ისინი, გარდა იმისა, რომ კარგი პოეტები არიან, ასევე კარგი მკითხველებიც, მთელ ქართულ სივცესთან ერთად”, — ამბობს ლიტერატორი რუსუდან ნიშნიანიძე.

ამ თაობის დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომს ემსხვერპლა.

“ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი ცაზედაც შორი

თქვენ მაჰატიეთ, ჰო, მაჰატიეთ,
დანაშაული არ დაბრუნების”-

ეს მირზა გელოვანია, პოეტი-ჯარისკაცი, რომელიც მარადიულ ღიმილის ბიჭად დარჩა ქართველთა მეხსიერებაში, მოსაგონებლად კი მშვენიერი ლექსები დაგვიტოვა...

ამ თაობის წარმომადგენელია ჩვენი თანამემამულე ნიჭიერი პოეტი დავით პატატიშვილი. მისი ლექსებიც ომის უბის წიგნაკია, სადაც სიკვდილის სუნიც იგრძნობა და მომავლის იმედიც...

ის ოცდახუთი წლის დაიღუპა ლატვიის მიწაზე . მშობლებს სამხედრო ნაწილიდან სამახსოვროდ მისი ლექსების წიგნაკი “გული და ქარიშხალი” მოუვიდათ, ბრძოლის ველზე, სანგრებში, ტყეში, ქარ-ცეცხლში, თოვლსა და წვიმაში, ჯარისკაცურ გზებზე ნაწერი სტრიქონები, რომლებშიც კარგად ჩანს ტკივილიც, სიყვარულიც, მონატრებაც, იმედიც და ყველაზე მეტად კი სამშობლოსთვის მსხვერპლშეწირვის მზადყოფნა:

„ვფიცავ დიდებას, რუსთაველს,
საადს,
ვფიცავ შენს სახელს, შენ,
საქართველოვ,
ვფიცავ შეეხვდები სიკვდილის
საათს
ქედმოუხრელი, როგორც გასტე-
ლო.“

ბრიანსკის ხანძარმოდებულ, ჭაობიან ნაძვნარში დაიკარგა სევერიან ისიანის კვალი. სევასტოპოლში შეწყდა გიორგი ნაფეტვარიძის გულისძგერა. ლადო უბილავა და ია ჩხაიძე ქერჩის ტრაგედიამ შეიწირა.

70 წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, ღიმილის ბიჭების ისტორია კი გრძელდება... მანამდე, სანამ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს კიდევ იხსენებენ ქვეყნის ხელისუფლების წარმოადგენლები და სანამ არიან ადამიანები, რომელთაც კვლავ ახსოვთ ის სამკუთხა ბარათები, მათი მიღების მოლოდინში ფოსტალიონის გამოჩენისას აღელვებული გულის ფანცქალი, ბრძოლის ველიდან გამოგზავნილ ამბებს რომ ატყობინებდა ყველას, მჯერა, რომ მათი სახელი უკვდავყოფილი იქნება, მერე კი, მერე, ამ მისიას პოეზია შეასრულებს. აკი წერდა კიდეც დავით პატატიშვილი:

„და ასე ვიწვი მგოსნის ოცნებით,
მიუსდევ ქარიშხალს, დღეებს ბურიანს,
თუ დავეცემი, კვლავ გავცოცხლდები,
პოეზია ხომ სასწაულია“...

ინგა შიოლაშვილი



„მკვლელი“ ბაქტერია

გვ.3

კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა 20 მაისიდან ამოქმედდება

გვ.2



„გვინდაგავშვები და ახალგაზრდობა სპორტული მოედნებისკენ შემოვაბრუნოთ“...

გვ.3



მეუფე დიმიტრის პირველი ვიზიტი ისტორიულ ჰერეთში

გვ.2

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი – არაერთი პრობლემის მიუხედავად, ბევრად უკეთეს საქართველოში ვცხოვრობთ, ვიდრე რამდენიმე წლის წინ ვცხოვრობდით

მიუხედავად არაერთი პრობლემისა და გამოწვევისა, ბევრად უკეთეს საქართველოში ვცხოვრობთ, ვიდრე რამდენიმე წლის წინ ვცხოვრობდით , - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, დღეს არის ის ქვეყანა, სადაც ადამიანებს აღარ ეშინიათ საკუთარი აზრის გამოთქმის.

"მე დღეს თამამად და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მიუხედავად არაერთი პრობლემისა და გამოწვევისა, ბევრად უკეთეს საქართველოში ვცხოვრობთ, ვიდრე რამდენიმე წლის წინ ვცხოვრობდით. და ჩვენი ქვეყანა, ისე როგორც არასდროს, ახლოსაა არაერთი თაობის ოცნების ასრულებასთან - ჩვენს ევროპულ ოჯახში დაბრუნებასთან", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, დღეს საქართველო არის ქვეყანა, სადაც პატიმრებს არ აწამებენ, არ კლავენ, სადაც ჟურნალისტებს არ აშანტაჟებენ და არ აძლევენ მითითებებს სახელმწიფო უწყებებიდან, სადაც ბიზნესს არავინ ატერორებს.

"ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებას საკუთარი ხალხის ხმა ესმის. ჩვენ ვართ პოლიტიკური გუნდი და მთავრობა, რომელმაც სასამართლო გაათავისუფლა სახელისუფლებო წნეხისგან. პოლიცია და ჯარი გახადა დეპოლიტიზებული. მოსპო უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის არქივი და იცავს თითოეული მოქალაქის უფლებასა და პირად ცხოვრებას. მედია გაათავისუფლა სახელისუფლებო კონტროლისგან. ბიზნესი გაათავისუფლა წნეხისგან; ბიზნესის ხელშეწყობისთვის განახორციელა სახელმწიფო პროექტები. ბოლო წლების განმავლობაში პირველად ჩაატარა მშვიდი, რეალურად დემოკრატიული არჩევნები. აამოქმედა საყოველთაო ჯანდაცვის პროექტი, რის შედეგადაც ჯანდაცვა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა - თითოეული მოქალაქე დაზღვეულია. ხელმისაწვდომი გახადა განათლება. იზრუნა თავისი დევნილი მოსახლეობის საკუთარი ჭერით უზრუნველყოფაზე", - განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი არის ადამიანი, რომელიც არის ხელისუფლების მთავრი საზრუნავი.

"ჩვენ ყველაფერი უნდა წარვმართოთ ისე, როგორც ეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სახელმწიფოს. ეს ძალიან დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული და ბუნებრივია, რომ ამას დასჭირდეს სამთავრობო გუნდის გადახალისება.

ჩვენს მთავრობას არა აქვს და არც უნდა სხვა ძალაუფლება, გარდა იმისა, რაც ხალხმა მოგვცა. თქვენ მიერ გამოცხადებული ხელახალი ნდობა კი მოგვცემს სტიმულს, რათა ახალი ენერგიით, ახალი ძალისხმევით განვაგრძოთ მუშაობა იმ საერთო მიზნების მიღწევისთვის, რისთვისაც ჩვენ ქართველმა ხალხმა აგვირჩია და გადმოგვცა ქვეყნის მართვის სადავეები", - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

გიორგი კვირიკაშვილი – კარგად დაფიქრდით, როდის აღიარეთ თქვენი შეცდომები, ერთი შემთხვევა მაინც მითხარით

კარგად დაფიქრდით, როდის აღიარეთ თქვენ თქვენი შეცდომები, ერთი შემთხვევა მაინც მითხარით?!, — ასე მიმართა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, გიორგი კვირიკაშვილმა საპარლამენტო უმცირესობის წევრებს. გიორგი კვირიკაშვილმა საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდი გაიხსენა, და განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ბიზნესმენებზე ხდებოდა ზეწოლა ქონების დათმობის სანაცვლოდ.

"თბილისში დღეს შენდება სასტუმრო "ჯარკ Іნნ Вყ ღადისსონ", რომლის მფლობელსაც დროებითი დაკავების საკანში სკაიპით მიაცემინეს მამამისზე მინდობილობა, რომ ეს ქონება გადაეფორმებინა. ის სამი წლის მანძილზე საქართველოდან იყო წასული, დღეს კი ჩამოვიდა, პროექტი განაახლა და სასტუმროს აშენებს", - განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა.

გაცნობითი შეხვედრა კახეთში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა გიორგი ამაშუკელმა კახეთის გუბერნატორთან ირაკლი შიოლაშვილთან და მუნიციპალიტეტების გამგებლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა და რეგიონში არსებულ მდგომარეობას გაეცნო. შეხვედრაზე გიორგი ამაშუკელმა კახეთის მხარეში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრურქტურულ პროექტებზე ინფორმაცია უშუალოდ გამგებლებისგან მოისმინა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია რეგიონების განვითარებასა და რეგიონში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე.

კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა 20 მაისიდან ამოქმედდება

კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო რადარები 20 მაისს ამოქმედდება. ამის შესახებ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას" წარმომადგენელმა თამარ გვარიშვილმა განაცხადა.

„ჭოტორის მთაზე სეტყვის საწინააღმდეგო რადარები უკვე დამონტაჟებულია. რაკეტები, რომლებმაც სეტყვისაგან დაცვა უნდა განახორციელოს, უცხოეთიდან შემოგვაქვს და ეს პროსესი ცოტა დროში გაიწელა. რაკეტები 15 მაისს შემოვა. 20 მაისს კი სრულად ამოქმედდება",- აღნიშნა თამარ გვარიშვილმა.

კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 14,7 მილიონი ლარი იხარჯება. სისტემის ამოქმედების შემდეგ კახეთის რეგიონში სეტყვისაგან მიყენებული ზარალის 85-95%-ით შემცირებას ელოდებიან. სულ რეგიონში (თელავი, ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი, ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო) 83 ერთეული საცეცხლე წერტილი განთავსდება.

ლარის სტაბილიზაცია უახლოეს ერთ-ორ კვირაში დაიწყება

იმპორტში გვაქვს კლება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლარის სტაბილიზაცია უახლოეს ერთ-ორ კვირაში დაიწყება, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმცირესობის სხდომაზე განაცხადა.

"პრივატიზაციის ნაწილში გვაქვს შედგენილი ნუსხა იმ ობიექტების, რომლებიც უნდა გაიყიდოს უახლოესი თვეების განმავლობაში. რამდენიმე ობიექტის გაყიდვა უკვე მოხდა. ასევე ჩვენ ველოდებით ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის - გარდაბნის თბოელექტროსადგურის გაყიდვას, რაც დამატებით, დაახლოებით, 300 მილონ დოლარს შემოიტანს ქვეყანაში", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის მიმართულებით დადებითი ტენდენციებია, და უკვე გამოცოცხლება შეინიშნება. "აპრილის წინასწარი მონაცემებით, იმპორტში გვაქვს კლება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლარის სტაბილიზაცია დაიწყება უახლოეს ერთ-ორ კვირაში, ასე რომ, ჩვენი და ეროვნული ბანკის პროგნოზებით, თუმცა მე არ მინდა მათ ნაწილზე ვისაუბრო, ეს სწორედ ეროვნული ბანკის პრეროგატივაა და უმჯობესია მათ გააკეთონ განმარტებები, ჩვენ ველოდებით, რომ ლარის სტაბილიზაცია დაიწყება უახლოეს ორ-სამ კვირაში. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ თქვენი განცხადებები და ის დემაგოგია, რომელსაც ისმენს მოსახლეობა ყოველდღიურად და იმ აჟიოტაჟს, რასაც თქვენ ქმნით ხელოვნურად ქვეყანაში, ეს, რა თქმა უნდა, სიტუაციის დარეგულირებას ხელს არ უწყობს და, რა თქმა უნდა, ეს ქმნის აჟიოტაჟის ფონს", - განაცხადა ღარიბაშვილმა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ლარის სტაბილურობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს ეკისრება.

თეა წულუკიანი – სამართლიანობის აღდგენა ჩემს ხელში აღარ არის

სამართლიანობის აღდგენა ჩემს ხელში აღარ არის, ამიტომ ვერავინ მაგებინებს ამაზე პასუხს, მით უმეტეს - პარლამენტში, - ასე უპასუხა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატების მხრიდან დასმულ შეკითხვას იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა, თავდაცვის და საპროცედურო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

თეა წულუკიანმა პარლამენტის წევრებს შეახსენა, რომ პროკურატურაზე ზედამხედველობის უფლება მას, როგორც იუსტიციის მინისტრს, 2013 წლის მაისში, სწორედ მათ მიერ მიღებული ცვლილებებით აუკრძალეს.

"მე არ ვაპირებდი ამ თემაზე საუბარს, მაგრამ მინდა, შეგახსენოთ ერთი რამ — სამთავრობო და საპარლამენტო გუნდმა 2013 წლის მაისში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, იუსტიციის მინისტრს ჩამოერთვა პროკურატურასთან მიმართებაში ყველანაირი უფლებამოსილება. ბატონებო, ადრე, სანამ კენჭს უყრიდით ახალ კანონს, 49-ე მუხლში ეწერა, რომ თქვენ გქონდათ უფლება დაგეძახათ, დაგებარებინათ იუსტიციის მინისტრი პარლამენტში და მოგეთხოვათ მისთვის პასუხი. თქვენ 49-ე მუხლი შეცვალეთ და ამიკრძალეთ უფლება, პასუხი მეგო თქვენს წინაშე პროკურატურის საქმიანობაზე. ახლა მთხოვთ პასუხს. ეს არის ჩემთვის ცოტა უცნაური", - მიმართა წულუკიანმა დეპუტატებს.

მისივე შეფასებით, ახალი კანონი, რომელიც 2013 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო, "არ ვარგა".

"49-ე მუხლის ცვლილებას მე ვეწინააღმდეგებოდი და ვიყავი პრაქტიკულად მარტო მთელი მმართველი გუნდის წინააღმდეგ. სამართლიანობა ითხოვს, აღინიშნოს, რომ სულ 2-3 ადამიანი დამიდგა მაშინ გვერდით: დავით უსუფაშვილი და ნინო გოგუაძე. ვინც დღეს კითხვები დასვით, 2013 წლის მაისში, 49-ე მუხლში ჩაწერეთ, რომ საპარლამენტო კონტროლი პროკურატურაზე ხორციელდება მთავარი პროკურორის პარლამენტში დაბარებით. თქვენ მასში ასევე ჩაწერეთ, რომ მე მეკრძალება, ჩავიხედო რომელიმე სისხლის სამართლის საქმეში. ამას შეგახსენებთ ერთი მიზეზის გამო - დღეს ნუ წარმოაჩენთ საზოგადოების წინაშე სიტუაციას ისე, თითქოს სამართლიანობის აღდგენა ჩემს ხელშია და არ ვაკეთებ. ხელები მე მომეჭრა 2013 წლის მაისში. ამის შემდეგ, ხმამაღლა ვამბობ, სამართლიანობის აღდგენა ჩემს ხელში აღარ არის, ამიტომ ვერც ვერავინ მაგებინებს ამაზე პასუხს, პარლამენტში - მით უმეტეს. ეს კანონი, რომელსაც კენჭი ეყარა მაშინ ერთსულოვნად, არ ვარგა და უნდა გასწორდეს, რადგან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომელიც ამბობს, რომ იუსტიციის მინისტრი პროკურატურაზე ახორციელებს ზოგად ხელმძღვანელობას. მიიღეთ ჩემი ზომიერი აღშოფთება იმ ცუდ რეფორმასთან დაკავშირებით, რაც იქნა მიღებული. მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ სამართლიანობის აღდგენა არ არის იუსტიციის სამინისტროს ხელში", - განაცხადა წულუკიანმა.

მეუფე დიმიტრის პირველი ვიზიტი ისტორიულ ჰერეთში

ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძე ისტორიულ ჰერეთს სტუმრობდა. ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად მეუფემ კახის რაიონში წმინდა გიორგის და ქურმუხის, ასევე ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრები მოინახულა. ეპისკოპოსად დადგენის შემდეგ ეს საინგილოში მისი პირველი ვიზიტია.

გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ეპისკოპოსმა კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვა აღასრულა და მრევლს ქადაგებით მიმართა. წირვის შემდგომ აღესრულა დოქსოლოგია წმინდა მღვდელმოწამე მიქაელის საფლავზე. საღამოს კი საყოველთაო ნათლობა შესრულდა.

მისი თქმით, საზღვრის გადაკვეთის დროს პრობლემები არ შექმნიათ.

„ძალიან კარგად მიგვიღო მრევლმა, ემოციური და ძალიან თბილი შეხვედრა იყო. დედოფლისწყაროშიც ახლა დავდივარ, რომ ადგილზე გავეცნო და ეპარქიის ყველა ტაძარი მოვილოცოთ. რადგან გიორგობას ჰერეთში განსაკუთრებით აღნიშნავენ, ამიტომ გვინდოდა პირველი ჩასვლა ამ თარიღს დამთხვეოდა," - განუცხადა „შირაქს" მეუფე დიმიტრიმ.

გავრცელებული ცნობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ტრანსპორტით გადასვლის მსურველთათვის შეზღუდვები გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დროებით მოიხსნა.

პატრიარქის გადაწყვეტილებით, მეუფე დიმიტრი კაპანაძე ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსად მიმდინარე წლის 14 იანვარს დაადგინეს.

„გვინდა, ბავშვები და ახალგაზრდობა სპორტული მოედნებისკენ შემოვაბრუნოთ“...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს - **ავთანდილ ხუმარაშვილი**. ის თავად სპორტსმენია და მის მიზანსაც სწორედ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება წარმოადგენს. „გვინდა, რომ ბავშვები და ახალგაზრდები სპორტისკენ, კერძოდ კი სპორტული დარბაზებისკენ და მოედნებისკენ შემოვაბრუნოთ, ხელი შევუწყოთ მათ სწორად აღზრდას. ამისთვის ბევრი სპორტული სექცია ფუნქციონირებს ჩვენთან და მოზარდი თაობის დაინტერესების შემთხვევაში კიდევ მეტი ამოქმედდება“-აცხადებს ავთანდილ ხუმარაშვილი.



მინი დოსიე: ავთანდილ ხუმარაშვილი დაიბადა 1959 წლის 6 აგვისტოს ქვემო ქედში. 1976 წელს დაამთავრა ქვემო ქედის საშუალო სკოლა, 1982 წელს კი-ფიზკულტურის ინსტიტუტი. იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. არის საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, სამბოში, საბჭოთა კავშირის საკავშირო უნივერსიადის პრიზიორი. მწვრთნელის კარიერა დაიწყო 1985 წლიდან ძიუდოს სახლში, შემდეგ კი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და აქაური ბავშვების სპორტულ აღზრდაზე დაიწყო ზრუნვა. მის აღზრდილთა შორის არიან საქართველოს ჩემპიონები, ევროპის III პრიზიორი... იმედოვნებს, რომ კიდევ ბევრ ახალგაზრდას გაზრდის, რომლებიც მშობლიურ რაიონს და საქართველოს ასახელებენ.

"მკვლელი" ბაქტერია, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

როდის ხდებიან საშიშნი „მშვიდობიანი“ მიკრობები?!

პნევმოკოკური ინფექცია - ასე ჰქვია გადამდებ დაავადებას, რომელმაც აპრილის ბოლო რიცხვებში საქართველოში ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ცხელება, ღებინება, ძლიერი თავის ტკივილი - ამ სიმპტომებით საავადმყოფოში ორი ქალბატონი მიიყვანეს. მოგვიანებით მათ გამონაყარი განუვითარდათ და თვალებიდან სისხლდენა დაეწყოთ. საშიში ბაქტერიული ინფექცია ბოლოს სეფსისის სახით განვითარდა და ორივე პაციენტი დაიღუპა. ერთ-ერთი გარდაცვლილი შუახნის ქალბატონი გახლდათ, მეორე კი - 38 წლის ქალი, რომელიც ოჯახის წევრებმა თურქეთში გადააფრინეს, თუმცა, მისი გადარჩენა თურქმა ექიმებმაც ვერ შეძლეს. ჯანდაცვის სამინისტროში დაავადების მასობრივად გავრცელების საშიშროებას გამორიცხავენ, თუმცა, მოსახლეობას პრევენციის მიზნით ვაქცინაციის ჩატარებას ურჩევენ. ეპიდემიოლოგთა შეფასებით, ეს დაავადება ჰაერწვეთოვანი გზით გადადის და განსაკუთრებით საშიშია.

რა უნდა ვიცოდეთ პნევმოკოკურ ინფექციაზე და როგორ უნდა დავიცვათ თავი მისგან? - ამ შეკითხვებზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი შოთა ცანავა გვიპასუხებს:

- ამ ინფექციას იწვევს ბაქტერია შტრეპტოცოققუს პნევმონია, რომელსაც პნევმოკოკს უწოდებენ. პნევმოკოკური დაავადების ყველაზე გავრცელებული კლინიკური გამოვლინება პნევმონიაა, თუმცა, ფილტვების ანთების გარდა ეს ბაქტერია სხვა საშიშ დაავადებებსაც იწვევს, მათ შორის - მენინგიტს. პნევმოკოკები - ეს არის ბაქტერიები, რომლებიც ადამიანისათვის პათოგენურია ანუ აქვს უნარი ორგანიზმში სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ეს ბაქტერიები ხშირად ბინადრობენ ადამიანის სასუნთქ გზებში, ჩვენ მათ წლების განმავლობაში ვატარებთ ცხვირითა და ხახის ლორწოვანი გარსით, მოკლედ ეს ე.წ. მშვიდობიანი ბაქტერიებია, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ პირობებში იძენენ გამრავლების უნარს და ადამიანისთვის მძიმე შედეგები მოაქვთ. ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანს ეს ბაქტერია ვერაფერს ავნებს, მაგრამ ხელშემწყობი პირობების ზემოქმედებით ისინი შეიძლება ფატალური შედეგის მომტანი გახდნენ.

- ესე იგი, პნევმოკოკებს ადამიანების დიდი ნაწილი ატარებს, მაგრამ თუ არსებობს სხვა გზა ამ ბაქტერიით დაინფიცირებისა?

- მეორე გზა ამ ბაქტერიით დაინფიცირებისა არის სხვა ადამიანი, რომელიც ასევე ატარებს პნევმოკოკებს, ან უკვე დაავადებულია. ასეთ ადამიანთან კონტაქტის შედეგად დასუსტებული ორგანიზმი შეიძლება დაინფიცირდეს და საკმაოდ რთული დაავადებებიც განუვითარდეს. ჩვეულებრივ, ყოველი 100 ადამიანიდან 70 მაინც ატარებს ამ ბაქტერიას, მაგრამ ისინი თავს შესანიშნავად გრძნობენ. საფრთხე მაშინ წარმოიქმნება, როდესაც დაავადების სიმპტომები გამოვლინდება. ასეთ დროს დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს. ერთი სიმპტომით პნევმოკოკური ინფექციის დიაგნოზის დასმა არ შეიძლება, ეს ხშირად რამდენიმე სიმპტომის, ან სიმპტომათა ჯგუფით გამოვლინდება. დიაგნოზი ისმება კომპლექსური კვლევის შემდეგ და არა - ერთი, ან ორი სიმპტომის საფუძველზე. როდესაც პაციენტი დროულად მიდის ექიმთან, მისი მკურნალობა უფრო იოლია, ხოლო შორს წასული პროცესის დროს მკურნალობა უშედეგოდ მთავრდება.

- დაავადების რისკ-ჯგუფში უპირველესად მცირეწლოვანი ბავშვები და ხანდაზმული ადამიანები შედიან?

- დიახ. ეს იმიტომ, რომ ბავშვებსა და მოხუცებში იმუნიტეტის დონე ისედაც დაქვეითებულია, მაგრამ ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფში შედიან ის ადამიანები, რომლებიც სხვა პათოგენური ვირუსებითა და ბაქტერიებით არიან დაავადებული, მაგალითად გრიპით, ან სხვა ინფექციებით და ამის ფონზე იმუნოდეპრესია უვითარდებათ ანუ მათი იმუნიტეტი ძალზე დაბალია. ამ ფონზე თავს წამოყოფენ ხოლმე ასეთი “მშვიდობიანი” მიკრობები. ამიტომ, ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფს ქმნიან ადამიანები, რომლებიც იმუნოდეპრესიის გამომწვევი მიკროორგანიზმებით ავადობენ. დასუსტებული ორგანიზმი, რომელსაც იმუნიტეტი დაბალი აქვს, ყველაზე კარგ ფონს უქმნის ბაქტერიებს ცხოველქმედებისა და გამრავლებისათვის. ეს ფონი განსაკუთრებით ნოყიერია მაშინ, როდესაც ბავშვი, ან მოხუცი გრიპით, ან სხვა დაავადებით არის ავად. ამ დროს ორგანიზმში გართულების სახით შეიძლება განვითარდეს და გამრავლდეს პნევმოკოკები.

- მიუხედავად ამისა, დაღუპული პაციენტები იმ ასაკში იყვნენ, როდესაც ადამიანის ორგანიზმი ჩამოყალიბებული და ბრძოლისუნარიანია.

- დიახ, ეს ის ასაკია, როდესაც ორგანიზმი ყველაზე მობილურია და ყველაზე კარგ მდგომარეობაშია. სწორედ ამიტომ არის საშიში და სახიფათო ეს მიკრობები, რომ ნებისმიერ ასაკში ახერხებენ იმუნიტეტზე ზემოქმედებას, თუმცა, საშიშროება იზრდება მაშინ, როცა პაციენტს პარალელურად სხვა დაავადებაც აქვს. სხვა დროს, როდესაც იმუნოდეპრესიის გამომწვევი დაავადება არ აღინიშნება, არანაირი საშიშროება არ არსებობს, რომ ორგანიზმში მათ არსებობას მძიმე, ლეტალური შედეგი მოჰყვეს. ჩვეულებრივ, ისინი ადამიანის ორგანიზმში ბუდობენ, მშვიდობინად თანაარსებობენ და არ ვნებენ მას.

- ბატონო შოთა, როგორ უნდა შეამჩნიოს მცირეწლოვანი ბავშვის დედამ დაავადების სიმპტომები?

- თუ დედა შენიშნავს, რომ ბავშვის ქცევა ადეკვატური არ არის, გამუდმებით ტირის, აღგზნებულია და ტემპერატურის უმიზეზო მომატება ახასიათებს - ეს ის სიმპტომებია, რომლის დროსაც პედიატრთან სტუმრობა აუცილებელია, და საერთოდ, ბავშვი პედიატრთან სისტემატურად უნდა ვატაროთ, ის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს, მოზრდილი კი - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ ეს, უნდა მივეჩვიოთ, რომ ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, უმიზეზო ხველა - ეს სიმპტომები ყოველთვის არ არის უბრალო გრიპის, ან სურდოს ნიშანი, ასეთ დროს უმჯობესია დიაგნოზი კარგმა ექიმმა დასვას. პნევმოკოკური ანემიის საწყისი ფაზა ძალიან ჰგავს გრიპს, ამიტომ, ძალზე საშიშია, როდესაც ოჯახურ პირობებში სვამენ ხოლმე “დიაგნოზს”. “რაღაც ვირუსია” - იტყვის დედა და ცდილობს შვილი იმ წამლით განკურნოს, რომელიც მეზობელმა, ან ნათესავმა ურჩია. სინამდვილეში მან არ იცის ეს ვირუსია, ბაქტერიაა თუ სხვა რამ. საქართველოში დიდიც და პატარაც უნდა მიეჩვიოს, რომ ექიმთან კონსულტაციის გავლა და ჯანმრთელობის გამუდმებული კონტროლი მრავალი დაავადებისაგან დაგვიცავს. ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად უნდა დაინერგოს.

- ითქვა, რომ დაავადების რისკი მაღალია ხელოვნურ კვებაზე მყოფ ჩვილებში, რატომ?

- იმიტომ, რომ ხელოვნური კვება არ არის ბავშვისათვის ნორმალური მდგომარეობა. ეს ყოველთვის ნორმიდან გადახრაა. ვისაც ბავშვი ბუნებრივ კვებაზე ჰყავს, უნდა იცოდეს, რომ მისი შვილის ორგანიზმი ბაქტერიებისა და ვირუსებისაგან გაცილებით უფრო დაცულია. ამიტომ, ყველა დედა უნდა ცდილობდეს ბავშვი ბუნებრივ კვებაზე ჰყავდეს, ეს ბავშვს ნებისმიერ წამალზე უკეთესად იცავს.

- ბატონო შოთა, როგორ დავიცვათ თავი ამგვარი ბაქტერიებისაგან? პრევენციისათვის ყველაზე საუკეთესო გზა რომელია?

- ყველაზე სწორი პრევენციული ღონისძიება დაკვირვებაა - იქნება ეს მცირეწლოვანი, თუ ახალგაზრდა, ნორმიდან გადახრის შემთხვევაში პროფესიონალთან მისვლა ყველაზე უკეთესი გამოსავალია. პნევმოკოკების მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად კარგია ჰიგიენური პროცედურები, როგორიცაა ხელების ხშირი დაბანა, სახლის ხშირად განიავება და სხვა. ეს არის ბარიერი, რომელიც მსგავსი დაავადებებისაგან გვიცავს და რომელიც სისტემატურად უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ყველაზე ეფექტიანი გზა მაინც ვაქცინაციაა, რომელიც ორ წლამდე ბავშვებისთვის უფასოა. პნევმოკოკური ინფექციის გამომწვევი ბაქტერიის საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში გასულ წელს შემოვიდა და საკმაოდ კარგად ებრძვის ამ დაავადებას.

- თუმცა, აცრებს ყოველთვის ახლავს გარკვეული შიში. ბევრი ფიქრობს, რომ ვაქცინაცია ყველას არ უხდება.

- ეს შიში იმითაა გამოწვეული, რომ ვაქცინაციას ხშირად მოსდევს ორგანიზმის ინდივიდუალური პასუხი, გართულება, რომელიც არ არის სიცოცხლისათვის საშიში. ეს გართულებები გამოწვეულია იმით, რომ თითოეული ორგანიზმი ინდივიდუალურად პასუხობს შემოსულ აგენტს ანუ ვაქცინას. ეს არ ნიშნავს, რომ ვაქცინა ორგანიზმს რაიმეს ვნებს, პირიქით, მკვლელისგან იცავს მას. ვაქცინაციის შიში გამოწვეულია უცოდინარობის, სიბნელისა და არაპროფესიონალიზმისაგან. გაუმართლებელია, როდესაც ვაქცინაზე ამბობენ, რომ ის ადამიანს კლავს, იმპოტენციას ან დამბლას იწვევს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც რომელიღაც ვაქცინას დამბლაც გამოუწვევია და სიკვდილიც. მილიონში ერთი შემთხვევა ყვავილის ვაქცინაციის დროსაც სიკვდილით მთავრდებოდა. ეს იმ ერთი ადამიანის ტრაგედია იყო, მაგრამ 999 ათასი კაცი ხომ გადაურჩა საშიშ დაავადებას - ყვავილს? ამდენად, ვაქცინაციის ავ-კარგზე ლაპარაკი წყლის ნაყვად და მოცლილი ხალხის საქმედ მიმაჩნია. ვაქცინაციის სიკეთეზე უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მის მავნებლობაზე კი - ერთეული შემთხვევებისა, რაც ორგანიზმის რეაქციის შედეგი იყო და არა - ვაქცინისა. საკამათო სულაც არ არის ის, რომ საშიში ინფექციების თავიდან ასაცილებლად აცრა ყველაზე კარგი გამოსავალია.

ღია გაკვეთილი მეორე ბაგა-ბაღში

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა ბაღში პედაგოგმა თამარ ალადაშვილმა თავის აღსაზრდელებთან ღია გაკვეთილი ჩაატარა, რომელსაც შეფასების მიზნით, რაიონის სხვა ბაღების პედაგოგებთან ერთად გაზეთი „შირაქიც" ესწრებოდა. გაკვეთილის თემად სამშობლოს სიყვარული იყო არჩეული. დასმული იყო კითხვები და გაცემული იქნა პასუხები, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა, ვინ ვართ ქართველები, სად ვცხოვრობთ, როგორია ჩვენი სამშობლო, რამდენად გვიყვარს და როგორ ვუფრთხილდებით მას. უკვე სასკოლედ მომზადებულ ბავშვებს კარგად აუთვისებიათ პედაგოგის მიერ მინვდილი მასალა საქართველოს მოკლე ისტორიის შესახებ, ბავშვებმა გადმოგვცეს, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან პატარაა, მაგრამ ულამაზესი და მშვენიერი, მისი დედაქალაქია თბილისი, რომლის დაარსებაც მეხუთე საუკეუნეში მოღვაწე მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირდება. აღსაზრდელებმა მშვენივრად გადმოგვცეს ის ლეგენდა, რაც თბილისის დაარსებას უკავშირდება.

პედაგოგმა თამარ ალადაშვილმა თბილისის უკეთ აღქმის მიზნით ბავშვებს დიდი, დასურათებული წიგნი წარუდგინა და აუხსნა, რომ თბილისი ერთ- ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია ევროპაში. აქვე, ფოტოებში აჩვენა ვახტანგ გორგასალის ძეგლი, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს თბილისს. თვალსაჩინოებისთვის და უკეთ შესწავლისთვის თამარ მასწავლებელს თავისი აღსაზრდელებისთვის საკუთარი ხელით დამზადებული ვერცხლისფერი ქაღალდის მუზარადიც კი მოეტანა, რომელსაც წინ მგლის თავი ჰქონდა გამოსახული. პატარებმაც იცოდნენ, რომ ვახტანგ მეფეს მუზარადზე წინ მგლის თავი ეხატა, ხოლო მუზარადის უკან ლომი ჰქონდა გამოსახული, რის გამოც სპარსელებმა მას მგლისთავიანი, ანუ გორგასლანი შეარქვეს. საქართველოს ისტორიის გაშლის შემდეგ, პატარა აღსაზრდელებმა პედაგოგის დახმარებით საქართველოს გერბი და დროშა აღწერეს, შედეგ კი, დახატეს დღევანდელი ხუთჯვრიანი დროშა.

კითხვა-გამოკითხვის მეთოდით უპასუხეს ბავშვებმა, თუ რა არის ქართველების რელიგია, რომ ჩვენ ქრისტიანი-მართლმადიდებლები ვართ, რომ ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში წმინდა ნინომ შემოიტანა. ქრისტიანობის თემას მიუძღვნეს იოსებ ნონეშვილის ლექსი „ღმერთი და ხელები", რომელიც პატარებმა პატარა ინსცენირებით წარმოადგინეს. ტახტრევანზე ღმერთი – პაატა პატაშური იჯდა, რომელსაც თავზე ჯვრით გამოსახული გვირგვინი ამშვენებდა, ხოლო ხელში სკიპტრა ეჭირა, ღმერთი თეთრ სამოსში იყო გახვეული, მის გარშემო კი ფიალებით ქართველები მარიამ ჯოჯიკაშვილი, მარიამ არაბული, მარიამ გურაშვილი, მარიამ ბოსტოღანაშვილი, მარიამ ხუციანიძე, ქეთევან საბიაშვილი, მარიამ წიკლაური, ანამარია ქავთარაძე, ანასტასია ტუხაშვილი, სტეფანე მათეშვილი, ილია ჯამასპიშვილი, პატიკო პატაშური დავით ზოროღლიანი, ლევან დავითაშვილი, ერეკლე გიგაური, მარიამ მამისბედაშვილი, თიკო იმერლიშვილი, მარიან ჯინაშვილი, ნათია ნასრაშვილი, ლიზი პოპიაშვილი, დავით ალადაშვილი იდგნენ, რომლებიც სტროფებად აკინძულ ნონეშვილის ლექსს მარგალიტებად აგვირისტებდნენ, -„ლხინს ჭირი ვარჩიეთ, გაქეთ და გადიდეთ და დაგვაგვიანდა, ჰე, ღმერთო გვიშველე!"

რაკი გაკვეთილი საქართველოს ეხებოდა, რომლისთვისაც ტრადიციაა ქართული ცეკვა და სიმღერაა, ამიტომ პატარებმა თავიანთი გაკვეთილი ქართული ცეკვით და სამშობლოზე სიმღერით გაალამაზეს. ცეკვა პაატა პატაშურმა და მარიამ ხუციანიძემ შეგვისრულეს, ხოლო სიმღერა ყველამ ერთად შეასრულა.

ეს გახლდათ ის, როცა პატარების მორიგმა ღია გაკვეთილმა ისე ჩაიარა, რომ დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც დირექციისგან ასევე ჩვენგან. მართალია, გაკვეთილმა დამსწრე საზოგადოებაში მცირე კრიტიკა გამოიწვია იმ კუთხით, რომ თითქოსდა ძალიან დიდი მასალა იყო ერთდროულად ათვისებული და გადმოცემული, მაგრამ ვფიქრობთ, მთავარია, რომ პატარები იმდენად გონიერები იყვნენ, რომ იმ თუნდაც დიდ მასალას, მშვენივრად გაართვეს თავი აეთვისებინათ და შეეგრძნოთ იგი. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში, ცოცხლად პასუხობდნენ კითხვებზე და ხალისიანად მიჰყავდათ მთლიანად შემეცნებითი პროცესი.

ღია გაკვეთილს მუსიკალურად აფორმებდა ბაღის მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი. გაკვეთილს ესწრებოდა ბაღის დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი და სკოლამდელი აღზრდის სპციალისტი მაია ცოგოშვილი, რომლებმაც პედაგოგ თამარ ალადაშვილს გაკვეთილი დადებითად შეუფასეს, მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს მომავალ პედაგოგიურ საქმიანობაში.

ლალი მეხრიშვილი

პედაგოგთა კონფერენცია ხორნაბუჯის ქართულ-რუსულ საჯარო სკოლაში

ამ დღეებში ხორნაბუჯის ქართულ-რუსულ საჯარო სკოლაში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება", რომლის მიზანს წარმოადგენდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა თანამშრომლობის შედეგად მათი პროფესიული და პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება და ამ მიზნით, პედაგოგთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, მათი წარმატებული პრაქტიკის საჯაროდ განხილვა. მასში ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგებთან ერთად მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლის დირექტორები და პედაგოგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ ქართულ-რუსული საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი

რუსუდან გონაშვილი. ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს რუსუდან გონაშვილის წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას ,იგი ამჟამად ხორნაბუჯის სკოლაში მოღვაწეობს, თუმცა, N1 სკოლის პედაგოგთა კვალი მის წარმატებებსა თუ მიღწევებში მუდმივად აისახება...

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა ქალბატონმა რუსუდანმა:

-მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო და გაგაცნობთ ჩვენი დღევანდელი შეხვედრისას მიზანს. ჩვენ დღეს მოვისმენთ და შევაფასებთ არა მხოლოდ ერთმანეთის პროექტ-გაკვეთილების პრეზენტაციებს, არამედ, პირველ რიგში, გავიცნობთ ერთმანეთს. პირადად მე რაიონის გარეთ უფრო მეტ პედაგოგს ვიცნობ, ვიდრე თუნდაც ჩვენი ქალაქის სკოლებში. აქ, რათქმაუნდა, არ ვგულისხმობ N1 საჯარო სკოლის პედაგოგებს. მინდა, გავიცნოთ ერთმანეთი, დავამკვიდროთ ხშირი შეხვედრების ტრადიცია, თუნდაც ფინჯან ჩაიზე და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილებები. "ძალა ერთობაშიაო" და ვასწავლოთ ერთმანეთს ყველა იმ საუკეთესო გამოცდილების შესახებ, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი ბავშვების სწორად განვითარებასა და აღზრდაში.

შემდეგ მან დეტალურად გააცნო მონაწილეებს მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა და წარმოადგინა პროექტ-გაკვეთილი"კაცია-ადამიანი?!, რომელმაც დიდი მოწონება და დაინტერესება გამოიწვია.

პედაგოგთა წინაშე წარსდგა მეორე საჯარო სკოლის სპეც. პედაგოგი ირინა ფიროსმანაშვილი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ინკლუზიური განათლების შესახებ, რამაც არანაკლები დაინტერესება გამოიწვია და პედაგოგებმა სთხოვეს მას , მომავალში კიდევ მისცემოდათ მისგან ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება.

სკოლის დირექტორმა ნელი აფციაურმა წარმოადგინა "ფიზიკა-კვლევაზე დაფუძნებული სწავლების" პროექტ -გაკვეთილი. მან დასაწყისშივე სინანულით აღნიშნა, რომ ტექნიკური პროგრესის ხანაში ინტერესი ფიზიკისადმი მინიმალური გახდა:

- დღეს, როდესაც ბავშვები თვლიან, რომ მათი ცოდნა საკმარისია და მეტი არ სჭირდებათ, მინდა, გავუღვივო მათ საგნისადმი ინტერესი, ამიტომ, ვცდილობ, ჩვენი საგაკვეთილო პროცესი იყოს კვლევაზე დაფუძნებული, ამ დროს იზრდება მათი ინტერესი, მატულობს გამჭრიახობა, იწყება აზროვნება და მიჩნდება იმედი, რომ ისინი საგნის მიმართ გულგრილნი აღარ იქნებიან. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიზანია, აგრეთვე, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავება და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა.

თემა ფიზიკური ცდების მეშვეობით ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ იყო წარმოჩენილი.

ასევე საინტერესო და დამაფიქრებელი იყო დაწყებითი სწავლების პედაგოგის მერი კობრიშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტ-გაკვეთილი თემაზე :"ტირის დედამინა",რომელიც მთლიანად გარემოზე ზრუნვასა და მის გადარჩენას ეფუძნებოდა. მისმა მოსწავლეებმა ამ პროექტის ფარგლებში განახორციელეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. ეს ერთი შეხედვით, მარტივი აქცია, სასურველია, რომ არაერთჯერადად, არამედ პერმანენტულად ხორციელდებოდეს, ამით ჩვენს ბავშვებს შევაყვარებთ გარემოს და მასზე ზრუნვას, რაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის სისუფთავისა და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებაში.

კონფერენციაზე ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა ლალი მენთეშაშვილმა და მათემატიკის მასწავლებელმა გიული ყოჩიაშვილმა საჯაროდ გამოიტანეს მათი ერთობლივი ნამუშევარი, არამონათესავე საგნების ქართულისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილი, სადაც ძალიან საინტერესოდ ხდებოდა მარცვალთა რაოდენობის მიხედვით სვეტოვანი დიაგრამების შედგენა, შარადებით და ლექსებით ამოცანებისა და მაგალითების პასუხების ამოცნობა. იმდენად საინტერესო ფორმატი იყო შერჩეული, შეუძლებელია, ასეთი მასალით მოსწავლეებიარ დაინტერესდნენ.

რუსული ენის პედაგოგის ვიოლა დავთიანის თემას ტერორიზმზე, როგორც მსოფლიო გლობალიზაციის უმთავრეს გამოწვევაზე, დიდი ყურადღებით ისმენდა აუდიტორია. მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა აშშ-ს 2001 წლის 11 სექტემბრის მასშტაბურ ტერორისტულ აქტზე. თუ გასულ საუკუნეებში ტერორიზმი ეპიზოდური ხასიათისა იყო, 21-ე საუკუნის ამ ფაქტმა მსოფლიოს დამოკიდებულება განსაკუთრებულად აღქმადი გახადა ტერორიზმის საფრთხის მიმართ. დასასრულს, ქალბატონმა ვიოლეტამ მოწონება ვერ დაფარა აღნიშნული კონფერენციის გამო და განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა რუსუდან გონაშვილის მიმართ, არც ის დაუმალავს, რომ თავიდან, როდესაც პროექტში ჩართვა სთხოვა რუსუდანმა, თითქოს ვერ ბედავდა ასეთ ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობას, მაგრამ დღეს უზომოდ კმაყოფილია, როგორც საკუთარი ნაშრომით და მიღწეული შედეგით მოსწავლეებთან, ასევე კოლეგების მიერ გაწეული სამუშაოების გამო.

პატრიოტულ თემაზე იყო აგებული სკოლის ისტორიის მასწავლებლის ნანა ყაჭაშვილის პროექტ-გაკვეთილი "აგვისტოს ომი და საქართველო". მოსწავლეებმა ამ პროექტის მომზადების ფარგლებში აწარმოეს მოსახლეობაში "მინი-ჟურნალისტური გამოკითხვა" -ევროპა თუ რუსეთი?-სადაც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის პასუხში საგარეო ვექტორი, რათქმაუნდა, ევროპისკენ იხრებოდა.

კონფერენციის დასასრულს, მასწავლებლების და სხვადასხვა სკოლის დირექტორების წინაშე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი ნელი აფციაური, რომელმაც სურვილი გამოთქვა, რომ მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი შეხვედრა შედგეს და მეტ პედაგოგს გამოეთქვას მასში მონაწილეობის სურვილი:-თუ დღეს მხოლოდ ექვსი პროექტ-გაკვეთილის მანიფესტირება მოხდა ამ კონფერენციაზე, ეს იყო ჩვენი "გენერალური რეპეტიცია", მომავალი ახალი სასწავლო წლიდან უფრო მეტი შესაძლებლობები გვქონოდეს და მეტი ზეპირი მოხსენებები თუ სტენდური პრეზენტაციები წარმოვადგინოთ აღნიშნულ ფორმატში.

მან მადლობა გადაუხადა რუსუდან გონაშვილს აღნიშნული კონფერენციის ორგანიზება- მოწყობაში და მზადყოფნა გამოხატა, მუნიციპალიტეტის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებთან და დირექციებთან სამომავლოდ უფრო მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელებისა.

ელზა ხარაშვილი

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა



წელს დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლისთავია. იუნესკოს გადაწყვეტილებით 2015 წელი აკაკის საიუბლეო წლადაა გამოცხადებული.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია აკაკი წერეთლის შემოქმედება, არ დარჩენილა წარსული ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი მადლიანი კალამი რომ არ შეხებოდა.

განუზომელია ის დიდი სიყვარული, რაც აკაკიმ ხალხში დაიმსახურა. იგი უპირველესად ეროვნული პოეტია. ამიტომაც აუგო მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის ხსოვნაში უკვდავების ძეგლი უსაყვარლეს მგოსანს, ამიტომაც გაითავისა აგრერიგად მისი სულმნათი პიროვნება. ჩვენი ხალხი უხდის დაბადების დღეს ქართულ პოეტურ ტალანტს. დღეს კიდევ უფრო ამაღლებულად ჟღერს შუბლნათელი მგოსნის ღაღადისი: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე- მთელი ქვეყანა“. სწორედ ეს სტრიქონები გასდევს ლაიტმოტივად ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ჰიმნს.

მიმდინარე წლის 23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღე იყო, 30 აპრილი- ქართული ბიბლიოთეკის დღე, ხოლო 23-30 აპრილი -წიგნის კვირეული.

27 აპრილი აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღებით აღინიშნა სოფელ სამრეკლოს სასოფლო ბიბლიოთეკში. ღონისძიების ჩატარების ინიციატორი გახლდათ ღვაწლმოსილი პედაგოგი ეგული ყოჩიაშვილი. მას მხარი აიბეს საშუალო სკოლის ფილოლოგებმა: ლუიზა ლეკაშვილმა და ნანა საყვარლიშვილმა, სკოლის დირექციამ, მოსწავლეებმა, სოფლის რწმუნებულმა ლევან მაძღარაშვილმა, კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ.

ბიბლიოთეკის დარბაზი მაყურებლებს, მსმენელებს, აქტიურ მკითხველებს, მოწვეულ სტუმრებს ვერ იტევს.ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის დირექტორი ქალბატონი ნონა ჯიბღაშვილი, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი, სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლები: ნინო ნიკვაშვილი, მაია ბოსტაშვილი, ვასიკო ტუხაშვილი, რაიონის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი, ნანა ჭიჭინაძე.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ადგილობრივი, რაიონული პოეტები, ვეტერანი ჟურნალისტები: უშანგი წყარუაშვილი და გიორგი ნატროშვილი, სკოლის დირექტორი ნანა ჭიღიტაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე თამუნა ჩიხლაძე და სხვები.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკარმა მაყვალა მილაძემ.

„აკაკის პირადი წერილების შესახებ“ ისაუბრეს VIII კლასელმა მოსწავლეებმა მაკა ზურიკაშვილმა და ნატა ნატროშვილმა. ქალბატონ ნანა საყვარლიშვილს საგულდაგულოდ შეურჩევია წერილები.

ჩემი აზრით, აკაკის პირადი წერილები ერთგვარი გზამკვლევია მისი შემოქმედების სათაავებამდე მისაღწევად. ვეცნობით რა მის პოეზიას, ვრწმუნდებით, რომ გარემოების საყვირია და „არც მიწისაა, არც ცისა“.

„აკაკის ლექსები“ - ასეთი იყო ეგული ყოჩიაშვილის მიერ დამუშავებული, საუბრის თემა. მანვე გაიხსენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მისი მუშაობისას ივანე მაჩაბლის შვილთან-ელენე მაჩაბელთან მუშაობის პერიოდი და აკაკის მიერ „სულიკოს“ დაწერის ისტორია.

„ისტორიული სინამდვილე აკაკის შემოქმედებაში“– ასეთი იყო პედაგოგ ლუიზა ლეკაშვილის საუბრის თემა. მან გაამახვილა ყურადღება იმ ისტორიულ მოვლენებზე, რაც „ბაში-აჩუკსა“ და „თორნიკე ერისთავშია“.

კონფერენციის მსვლელობისას აღნიშნა ბახტრიონის ბრძოლების ამსახველი ფოლკლორული ვარიანტებიც.

აკაკის ლექსების მხატვრული წარმოთქმით ღონისძიება გაალამაზეს მოსწავლეებმა: ნიკოლოზ, ივერი, ნიკა და აკაკი ყოჩიაშვილებმა. ხოლო სოფლის კულტურის სახლის მუშაკებმა-შეასანიშნავად შესრულებული სიმღერებით.

ჩატარებული ღონისძიების შესახებ აზრი გამოთქვეს: მანანა მაჭარაშვილმა, ნანა ჭიჭინაძემ, ნანა ჭუჭულაშვილმა, უშანგი წყარუაშვილმა და გიორგი ნატროშვილმა.

ღონისძიება შეაფასა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტრომა ნონა ჯიბღაშვილმა და რაიონის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სიგელი და რეზო ჩხეიძის წიგნი „იდექი ისე, როგორც ბერმუხა“ გადასცა დამსახურებულ პედაგოგს ეგული ყოჩიაშვილს.

ნანა ჭუჭულაშვილი

პატარა ოსტატის ხელოვნება

პირდაპირ მთავარ სათქმელზე გადავალ, ყოველგვარი შესავლის გარეშე... მინდა მოგითხროთ ქვემოქედელ გოგონაზე, რომელსაც 11 მაისს 16 წელი უსრულდება და უკვე დიდი ოცნებები და მიზნები აქვს, რისთვისაც წლებია იღწვის. იგი ისეა ფესვგადგმული თავის ოცნებებში, რომ თითქოს უკვე დაბერებული უცბად გაახალგაზრდავებულაო.

ეს გოგონა ქვემო ქედის საჯარო სკოლის მეცხრე კლასელი მოსწავლე გახლავთ. დედის დედა - ლელა დიდედა ფარდაგების და ხალიჩების ქსოვის ოსტატი ყოფილა და შვილიშვილშიც დაიწყო ფურჩქნა წინაპრის გენეტიკამ.

ანას ოთახში შესული მნახველი დაიბნევა, იმდენ ნაშრომს ნახავს: ნაქსოვსა თუ ნაქარგს; მაღალი ოსტატობით შესრულებულს - ე.წ. „ჯემპრს“ თუ სხვადასხვა სტილის ქუდს, შარფსა თუ თოჯინას, თმის სარჭებს (გვირგვინისებრს) და კიდევ ვინ მოთვლის რას...

ახლა ხელით ნაქარგებს არ იკითხავთ? ხელჩანთებს (ტომრის მასალაზე ამოქარგულებს; სხვადასხვა სურათს, პატარა ფარდაგებს). მისი უნაპირო ფანტაზია ამას არ სჯერდება და აკეთებს ათეულობით სხვადასხვა სახის სამკაულს, ე.წ. „ბიჟუტერიას“: ბეჭდებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, ქამრებს, საყურეებს...

თავისუფალ დროს „შეძვრება“ინტერნეტში და ეძებს მისთვის საინტერესო ფორმებს, დეტალებს და რა მასალაც ხელეწიფება, „ადნობს“ თავისი ფანტაზიის ქურაში, ადნობს და ქმნის...

დიახ, ქმნის და ბედნიერია. მეცადინეობაში დაღლილს განტვირთვა, ანუ დასვენება მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ზემოთჩამოთვლილ საქმიანობაში ელოდება.

არ დაიჯერებთ და საუკეთესო გურმანიცაა, დედას უფროს დასავით უდგას მხარში და აკეთებს ნამცხვრებს, ამზადებს გემრიელ კერძებს და უღირს კიდეც: დედამისი მანანა მიდელაშვილი ჩვენი პედაგოგია და მას უმსუბუქებს შრომას; თავს დასტრიალებს ძმებს: ლაშას და ხვიჩას; რძალს-სალომესა და ძმისშვილს-ბარბარეს, ოჯახის მამას-ჯუმბერ წიკლაურს.

ოჯახური სითბო და იდილია მეტ და მეტ სურვილს უჩენს: ახლა ის რაიონშიც დადის და პედაგოგ ნინო ბახუტაშვილის ჯგუფში ხალიჩების ქსოვასაც სწავლობს. „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“ და „ჭამს“ ჩვენი ანა ორივე ხელით ქადას: ქსოვს, ქარგავს და ოცნებობს ნამდვილ დიზაინერობაზე...

ლელა ბებიის ფესვებზე ამოსულო ნერგო, შენი შრომის, დიდ ნაყოფს გისურვებთ და წინსვლას შენს საყვარელ საქმიანობაში. გეფერებით და გილოცავთ დაბადების დღეს. შენი კლასელები და დამრიგებელი - გულნარა ტვილდიანი.

რა მოხდა ბაზარში?

გასულ კვირას დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე დიდი ხმაური იყო. კამათმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მოსახლეობამ პოლიცია და გამგეობის ზედამხედველობის სამსახური გამოიძახა. შელაპარაკება ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე ტაქსის მძღოლებსა და აგრარული ბაზრის გამყიდველ ქალბატონებს შორის მოხდა. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ტაქსის მძღოლებმა ერთ-ერთი გარემოვაჭრისგან ერთი ტომარა კიტრი შეიძინეს, ხოლო შემდეგ ერთმანეთში კილოგრამობით გაიყვეს. გარეთ ერთბაშად ნაყიდი კიტრი 1 ლარი და 20 თეთრი დაუჯდათ მძღოლებს, ხოლო ბაზარში აღნიშნული პროდუქტი იმ დღით 2 ლარი ღირდა. ლოგიკა ნათელყოფს, რომ ტაქსის მძღოლებს, რომლებიც ისედაც უმუშევრობაზე და ეკონომიკურ გასაჭირზე ჩივიან, ოჯახში ცხადია, ვერავინ გაამტყუნებს. ფულის ზედმეტი ხარჯვა ვისთვისაა სასიამოვნო?!

თავის მხრივ ბაზრის გამყიდველი ქალების პროტესტსაც აქვს გამართლება, რადგანაც გარეთ ყიდვა-გაყიდვა წესით აკრძალულია. ისინი ტაქსის მძღოლებსაც და გარემოვაჭრეებსაც ერთდროულად გამოედავნენ. თუ გარეთ ვაჭრობა აიკრძალა და კანონი ყველასთვის ერთია, რატომ არ მოქმედებს ეს კანონი ზოგიერთისთვის, რომლებიც პროდუქტს მაინც ყიდიან გარეთ?! რომ მოუსმინო ორივე მხარეს, ორივე მხარე მართალია, თუმცა სადაა გამოსავალი?!

– „მუშაობა არ გვაქვს, ყველა უქმად დავდივართ, დღეში შეიძლება ერთი რიგი ძლივს მოგვიწიოს, რომ სახლში კაპიკი შევიტანოთ, მთელი დღე აქ მშივრები ვდგავართ, ისე, რომ ბევრჯერ ბაზრის პროდუქტიც ვერ გვიყიდია, ჩვენი ბაზრის ქალები ძალიან ძვირად ყიდიან ყველაფერს, ასეთი კანონი აღარ დანერილა, ჩვენს თვალწინ ლარი და ოც თეთრად კიტრი იყიდებოდეს, ჩვენ კიდევ ასე ვუყუროთ, სული დაგველიოს და უფლებაც არ გვქონდეს, ვიყიდოთ. ვაჭრებს, რომლებსაც „ოპტავოით" მოაქვთ, უნდათ კიდევაც, რომ მოგვყიდონ, მაგრამ ეს ქალები არ აძლევენ საშუალებას, კანონი კანონიაო იძახიან და კილოგრამობით ყიდვის უფლებას არც მოსულები აძლევენ საკუთარ თავს. ავდექით და ტომრით ვიყიდეთ ერთად კაცებმა, მერე ჩვენ თავად გავიყავით. ამაში რა იყო დანაშაული არ ვიცით, მაგრამ გამოცვივდნენ შიგნიდან ქალები და ჩხუბი დაგვიწყეს, შელაპარაკებაც ამან გამოიწვია, ჩვენ ის გამყიდველი კაცი დავიცავით. მას ხომ არაფერი დაუშავებია, ერთი ტომარა კანონიერად გაყიდა. ეხლა დაობენ, შიგნით შემოვიდეს და იქ გაყიდოსო, შიგნით რომ შევიდეს და 1 ლარად და 20 თეთრად გაყიდოს პროდუქტი, ჩაქოლავენ ჩვენი ვაჭარი ქალები, არ მისცემენ უფლებას, რომ გაყიდოს!" -ამბობენ ტაქსის მძღოლები.

– „როცა თქვეს, რომ გარე ვაჭრობა აიკრძალა და შიგნით შემოდითო, არ გვინდოდა შემოსვლა, მაგრამ კანონს დავემორჩილეთ და შემოვედით, აქ ყოფნით არ ვართ კმაყოფილნი, რადგან გარეთ უფრო მეტი ვაჭრობა გვქონდა, აქ კი იმის ნახევარსაც ვერ ვვაჭრობთ, ხალხი შიგნით აღარ შემოდის და ვზარალდებით, ნაყიდი პროდუქტი დახლებზე გვილპება ხშირად, ხან ფასი ისე მალე ეცემა, რომ ჩვენ ძვირადნაყიდი პროდუქტი გაყიდულიც არ გვაქვს, რომ უკვე იაფდება ზოგიერთი მათგანი, ეს კი ჩვენს მოგებაზე ცუდად აისახება. ცხადია, ფასების კონკურენცია ჩვენ ზარალს გვაყენებს და ამას ასე თუ ისე ვუმკლავდებით, მაგრამ იმ უსამართლობას ნამდვილად ვერ შევეგუებით, რომ ჩვენმა მომმარაგებელმა გარეთ იმ ფასში გაყიდოს პროდუქტი კილოობით, რა ფასშიც ჩვენ მოგვასყიდა, ასე ჩვენ როგორ უნდა გავიდეთ ფონს?!" -ამბობენ ბაზრის მოვაჭრეები.

კომენტარს აკეთებს ჩვენთან საუბარში აგრარული ბაზრის დირექტორი **თამაზ მათეშვილი.**

– „მომხრე ვარ, იყოს მოწესრიგებული, კულტურული სავაჭრო სისტემა, რომელიც მყიდველსაც და გამყიდველსაც მისცემს საშუალებას, რომ მშვიდად, სუფთად, აკურატულად ივაჭროს და კმაყოფილები წავიდნენ. მოვიდეს ნებისმიერი მოვაჭრე და გაყიდოს თავისი პროდუქტი თუნდაც კილოობით, უნდა ტომრებით, რა ფასიც უნდა ის დაადოს, გაყიდოს თუნდაც ლარად და ოც თეთრად იმ პირობებშიც თუკი სხვები 2 ლარად ჰყიდიან, ოღონდ ეს ვაჭრობა უნდა მოხდეს ბაზრის შენობაში დახლთან. იმ შემთხვევაში თუკი ვინმე აძვირებს პროდუქტს,მერე უკვე ბაზარი თავად დაარეგულირებს პროცესს, ძვირად ჰყიდის ვინმე? - შემოვიდეს და გაყიდოს იაფად და გაუწიოს კონკურენცია. ესენიც იძულებულები გახდებიან, რომ ფასი დასწიონ. ჩვენ ვეუბნებით ყველა მოსულს, შემობრძანდეს ნებისმიერი ე.წ. „ოპტავოი" და მსხვილი ნავაჭრის შემდეგ გაყიდოს კილოგრამობით თუნდაც დაბალ ფასში, ვინ იქნება ამის დამშლელი და ვინ ჩაქოლავს, მერე ვნახავთ. აბა, აქ ჩვენ ვინ ვართ, თუ შიგნით ვინმეს ჩაქოლავენ?! - ტყუილად ვყოფილვართ. შემოვიდნენ, დასხდნენ და წყნარად, მშვიდად ივაჭრონ, არც მათ შეეშლებათ ხელი, არც არავინ დაუწყებს ჩხუბს, გადასახადსაც გადაიხდიან, სახელმწიფოსაც შემოსავალი ექნება და ბაზარიც გაძლიერდება. აგერ, ბაზრის შენობას ხელს შევავლებთ, კედლებს გავამაგრებთ, შევალამაზებთ. ჩაქოლავენო რომ იძახიან, ვიმეს უნახავს აქ ჩაქოლილი ადამიანი?! ნუ უწევენ ტყუილ პროპაგანდას ამ თემას და ვაცხადებ, რომ ბაზრის გარეთ ჩვენს ტერიტორიაზე თუ ვინმე დადგება და კილოობით გაყიდის, მე ამას ყოველთის წინ აღვუდგები და უფლებას არ მივცემ. სხვათაშორის, ტაქსის მძღოლებს მინდა შევახსენო, რომ ისინი ჩვენს ტერიტორიაზე დგანან და თუ მათ ჩვენს ტერიტორიაზე გარეთ ყიდვა -ვაჭრობა გააჩაღეს, ესიც კანონდარღვევაა. სხვა საკითხია ჩვენი ტერიტორიის იქით ვინ რას გააკეთებს, ეს უკვე ჩემი საქმე არაა, თუმცა, თუკი გარევაჭრობა მოისპო, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ გარეთ აღარავინ დადგეს. მოგეხსენებათ, გზის იქითა ნაწილი ჩვენ არ გვეკუთვნის და აქედან გამომდინარე, ვისაც ის ადგილი ეკუთვნის იქ წარმოებული ვაჭრობაც მათი პრეროგატივაა და არა ჩვენი. იქ თუ ვინმე დადგა და გაყიდა ამ შემთხვევაში ვერ შევეხებით, მაგრამ რაზეც კამათი მოხდა, გარმოვაჭრე ჩვენს ტერიტორიაზე გადმოვიდა და იქ გამართა ვაჭრობა, ბაზრის შიდა მოვაჭრეებში პროტესტიც სწორედ ამან გამოიწვია." – აღნიშნავს დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის დირექტორი თამაზ მათეშვილი.

გარევაჭრობა ნამდვილად არაა მოსაწონი, როდესაც გზაზე პროდუქტი აწყვია, ის აუცილებლად დაბინძურებულია, რადგან მას მანქანის გამონაბოლქვი და ათასგვარი მტვერი ედება, ამდენად მყიდველმა თავად უნდა თქვას უარი გზაზე ნაყიდ პროდუქტზე. ისიც მიუღებელია, რომ ადამიანი დაახრჩო, როდესაც ამხელა ფასს ამატებენ შიგნით მოვაჭრეები პროდუქტს და თითქმის ერთში ერთ მოგებას ნახულობენ. როგორც ჩანს შუალედური ხაზი აქაც საჭიროა გამოინახოს, რომელსაც ისევ და ისევ შემოთავაზებული ვარიანტი დაარეგულირებს, ყველანაირი ფასის რეალიზატორი აგრარული ბაზრის შენობაში შევიდეს და სასურველ ფასად გაყიდოს კუთვნილი საქონელი, ხოლო დანარჩენი მოვაჭრეების პროდუქტის ფასის რეგულაციას უკვე თავად ბაზარი მოახდენს.

აგრარული ბაზრის დირექტორს აქვე ვკითხეთ, როდის მოასფალტდება ბაზრის მარჯვნივ მდებარე არაკომფორტული და ტალახიანი გზა, რომელიც მაღაზიებს მიუყვება, ამ საკითხზე პასუხი ასეთი მივიღეთ: „პროექტი უკვე მომზადებულია, უახლოეს მომავალში მიმდებარე მაღაზიები ემზადებიან, რომ მოაასფალტებენ ამ გზას."-აცხადებს მათეშვილი.

ლალი მეხრიშვილი

დედოფლისწყაროს ღია ჩემპიონატი უშუ-ში

1-2 მაისს დედოფლისწყაროს სპორტულ ცენტრში დედოფლისწყაროს მეორე ღია ჩემპიონატი გაიმართა უშუ სანდაში. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაცია და პრეზიდენტი გიორგი ცისკარაული. დედოფლისწყაროს უშუს კლუბიდან მონაწილეობას 11 სპორტსმენი იღებდა, საიდანაც 9 ჩემპიონი გახდა.

დედოფლისწყაროში სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს წამყვანი გუნდები: თბილისის, ქუთაისის, მარტვილის, ახმეტის და სოფელ ზემო მაჩხაანის სპორტსმენები.

„შეჯიბრება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა დააფინანსა, რის გამოც დიდი მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" ჩემპიონატის ორგანიზატორმა, **გიორგი ცისკარაულმა.**

ჩემპიონატზე საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა და სპეციალური თასი გადაეცა დედოფლისწყაროს კლუბის სპორტსმენს ლევან წიკლაურს, რომელმაც 65 კგ წონითი კატეგორიაში შეჯიბრება აშკარა უპირატესობით, ნოკაუტით მოიგო.

საერთო შედეგები ასე გამოიყურება: დედოფლისწყაროში გამართული პირველობის ჩემპიონები გახდნენ: ბექა გონაშვილი, აჩიკო ელყანაშვილი, ლუკა პოპიაშვილი, ნიკა ჩიტიშვილი, ლევან მარტყოფლიშვილი, სერგო პეტროსიანი, გიორგი ლობჟანიძე, ლევან წიკლაური და ილია დაიაური. მეორე ადგილი წილად ხვდა გიორგი კეკიშვილს ხოლო მესამე ადგილი ლუკა მარტყოფლიშვილს.

როგორც უშუ-ს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა სუმბულაშვილმა** გაზეთ „შირაქს" განუცხადა, ჩემპიონატზე დედოფლისწყაროელი სპორტსმენების უპირატესობა თვალშისაცემი იყო. მითუმეტეს, რომ მათ დედოფლისწყაროში დარბაზი და მოსამზადებლად საჭირო პირობები არ აქვთ.

„მეორედ ჩატარდა დედოფლისწყაროში და მადლობელი ვართ ადგილობრივი ხელისუფლების და რა თქმა უნდა ჩვენი რეგიონალური ფედერაციის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელებს, სპორტსმენებს და დამსწრე საზოგადოებას. ტურნირი საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული, ნახეთ, რომ დედოფლისწყაროელმა სპორცმენებმაც შედეგიანად იბრძოლეს. რაც მთავარია, ტრავმების გარეშე დასრულდა ჩემპიონატი, რაც უკვე სპორტსმენების პროფესიონალიზმზე მეტყველებს. უფრო დიდი საერთაშორისო ტურნირებისთვის ვემზადებით. ივლისის თვეში თბილისში ჩატარდება და იმედია დედოფლისწყაროელები იქაც წარმატებით გამოვლენ," - აღნიშნავს ლაშა სუმბულაშვილი.

„ახმეტის კლუბის წარმომადგენელს შევხვდი, დაძაბული ბრძოლა იყო, მაგრამ გამარჯვება შევძელი და ჩემი რაიონი ვასახელე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემი გამარჯვება, რადგან ჩემპიონატი ჩემს რაიონში ტარდებოდა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ საუკეთესო სპორტსმენად დამასახელებდნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მოწონება დავიმსახურე," – ამბობს **ლევან წიკლაური.**

შედეგებით კმაყოფილია უშუს კლუბის მწვრთნელი გიორგი ცისკარაულიც.

„ლევან წიკლაური ერთერთი გამოცდილი და ძლიერი სპორტსმენია გუნდში, ასე ვთქვათ, ჩვენი გუნდის წამყვანი სპორტსმენია. მას ევროპის ჩემპიონატისთვის ვამზადებდი, მაგრამ ფინანსების არქონის გამო მისი გაგზავნა ვერ მოვახერხეთ. მან საქართველოს ჩემპიონატზეც და საკუთარ რაიონშიც აშკარა უპირატესობით, ნოკდაუნებით გაიმარჯვა. რაც შეეხება გიორგი ლობჟანიძეს, მას დებიუტი საქართველოს ჩემპიონატზე, ჯერ კიდევ მარტის თვეში ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ გიორგიმ ორი მძიმე ბრძოლის და ცხვირის ტრავმის მიუხედავად რაინდული ხასიათი გამოამჟღავნა. ბოლომდე გააგრძელა ბრძოლა და ჩემპიონის ტიტულსაც დამსახურებულად დაუფლა. ხოლო, რაც შეეხება ამჯერად მის დედოფლისწყაროს პირველობაზე გამართულ ბრძოლას, ჩვენ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ აქტიურად შევუდექით მისი შეცდომების განხილვას და მუშაობას. შედეგმაც არ დააყოვნა და გიორგიმ წაუგებელი სერია გააგრძელა. მიუხედავად ასაკისა, დედოფლისწყაროშიც აშკარა გამარჯვება შეძლო. კლუბში ამჟამად სავარჯიშო ინვენტარის მხრივ არც ისე კარგი მდგომარეობა გვაქვს. არ გაგვაჩნია კრივის ხელთათმანების საჭირო რაოდენობა და ყველაზე მთავარი საჭიდაო ტატამი. თქვენი მკითხველისთვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ არც შენობა გვაქვს და ხშირად მინდორში ვვარჯიშობთ, ცხადია, ეს გარემოება სათანადოდ მომზადებაში ხელს გვიშლის," – აღნიშნავს გიორგი ცისკარაული.

„ყველაფერი შემთხვევით დაიწყო, ჩემი მეგობრები დადიოდნენ გიორგი ცისკარაულთან, ერთხელ მეც წამიყვანეს სავარჯიშოდ. მომეწონა სპორტის სახეობა და მწვრთნელიც. ინტენსიურად განვაგრძე ვარჯიში, მასწავლებელი ბევრს შრომობდა იმისთვის რომ ფორმაში ჩავეყენებინე და საშუალოდ ორ თვეში მან შეჯიბრზე გამიყვანა. მენდო და როგორც აღმოჩნდა, მეც ნდობა გავუმართლე საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ამან სტიმული მომცა და იმდენად დავვინტერესდი ამ სპორტით რომ ვეღარ წარმომიდგენია სხვა სპორტით დაკავება. მინდა დახვეწილ სპორტსმენად ჩამოვყალიბდე. ვოცნებობ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებაზე. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს სრულიად საკმარისია ჩემთვის. მასწავლებელმა იმდენად „მომწამლა" ამ სპორტით რომ მინდა ჩემი დიდი წარმატებით ერთგვარად ხარკი გადავუხადო ამ შრომისათვის. ამისათვის ძალებს არ დავზოგავ," – განუცხადა გაზეთ „შირაქს" **გიორგი ლობჟანიძემ.**

„კმაყოფილი ვართ ჩემპიონატით, ხუთი სპორტსმენი ჩამოვიყვანეთ ქუთაისიდან. ჩვენ ერთი ოქროს მედალი ავიღეთ, დანარჩენი ბრინჯაო და ვერცხლი. გუნდურში პირველ ადგილზე დედოფლისწყაროს გუნდი გავიდა," – გვითხრა ქუთაისის მწვრთნელმა ზურაბ კაპანაძემ.

აღსანიშნავია, რომ კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაცია დედოფლისწყაროში კვლავაც შენობის და დაფინანსების გარეშე არსებობს. იმ ფონზე, რომ წარმატებები შთამბეჭდავია, სპორტსმენებს იმედი აქვთ, რომ სპორტის ცენტრი მათთის პირობების შექმნის საშუალებას გამონახავს.

ილია მარტყოფლიშვილი

აზარტული თამაშების ქართული ისტორია

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი სამორინე თბილისში გაიხსნა

რამდენიმე კვირის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ სააღდგომო ეპისტოლეში სათამაშო ბიზნესს "საშიში და სერიოზული პრობლემა" უწოდა და აღნიშნა, რომ ფიქრობს, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით. თავის მხრივ, ილია მეორეს განცხადებას აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები გამოეხმაურნენ. მთავრობის წევრებმა უწმინდესის ეპისტოლე მნიშვნელოვნად შეაფასეს და მას გასათვალისწინებელი უწოდეს. თუმცა, ვიდრე ხელისუფლება სათამაშო ბიზნესის რეგულაციების უფრო მეტად დახვეწაზე მუშაობას დაიწყებს, აზარტული თამაშების ქართულ ისტორიას და ამ ბიზნესში არსებულ მოქმედ რეგულაციებს გავეცნოთ.

აზარტული თამაშების ისტორია ოფიციალურად 1520 წლიდან იწყება და საფრანგეთში მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით დაკანონდა. პირველი კაზინოები პარიზში 1765 წელს გაიხსნა. იმ დროისთვის, აზარტული თამაშების სახლები გართობასთან ერთად, უამრავი უკანონო საქმიანობის, მათ შორის "შავი ფულის გათეთრების" ყველაზე კარგი საშუალება იყო. კაზინო კი არსებითად, სათამაშოდ შექმნილ ბარს ნარმოადგენდა - მხოლოდ "რულეტკასა" და მაგიდის თამაშებს სთავაზობდნენ სტუმრებს, მოგვიანებით სლოტ-ავტომატები დაამატეს.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, აზარტულ თამაშებს საქართველოში არცთუ ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ აზარტული თამაშებით გატაცებული იყო აკაკი წერეთელი. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მე-19 საუკუნის საქართველოში გარკვეული ტიპის სათამაშო დაწესებულება არსებობდა, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ქართული ელიტის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დროს კი, მასში შემავალ ქვეყნებში აზარტული თამაშები აიკრძალა და მხოლოდ ლატარეა იყო დაშვებული. ბუნებრივია, ეს აკძალვა საქართველოსაც შეეხო.

1920-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი სამორინე თბილისში გაიხსნა. ცნობილია, რომ იმ დროს სამორინეს ორგანიზებისთვის საჭირო გადასახადები საკმაოდ მაღალი იყო. დაბეგვრის სისტემა არ იყო ყველაზე ეფექტური, რადგან ითვალისწინებდა პროცენტს მოგებიდან, რაც საკმაოდ რთული გასაკონტროლებელია სამორინეს შემთხვევაში. საქართველო ასევე პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არალეგალური აზარტული თამაშების ორგანიზებისთვის, და ეს მაშინ, როცა აზარტული თამაშები მთელ საბჭოთა კავშირში იყო აკრძალული. 1989 წელს პირველი სამორინე გაიხსნა ბათუმში, ფეშენებელურ ღამის კლუბ "ინტერკლუბში".

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. 1997 წელს კი საქართველომ დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია. 2000 წელს საქართველოში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მთლიანად კრძალავდა სათამაშო ბიზნესს. მთავარ მოტივებად დასახელდა ეფექტური კონტროლის არარსებობა და ქვეყანაში მომუშავე ოპერატორების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. ამკრძალავი ღონისძიებების იდეა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობით მიიღეს, მაგრამ 2001 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა სათამაშო ბიზნესიდან შემოსული გადასახადების გარეშე და საბოლოოდ აკრძალვა აღარ დამტკიცდა.

2005 წელს საქართველომ - კვლავ რეგიონში პირველმა - მიიღო დეტალური კანონი, რომელიც დღემდე მოქმედებს. ნესები შეიცავს სალიცენზიო მოსაკრებლებს, გადასახადს სათამაშო მოწყობილობებზე, ასაკობრივ შეზღუდვებს, სათამაშო ბიზნესის ობიექტების ორგანიზებისა და განთავსების წესებს, ფინანსურ რეგლამენტებს - ყველაფერს, რაც საჭიროა ოპერატორების სრულფასოვანი კონტროლისათვის და რაც წამოადგენს ნორმას ევროპული კანონმდებლობისთვის.

ყველა სახის აზარტულ და მომგებიან თამაშს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, "ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ" კანონის შესაბამისად, სჭირდება ნებართვა. უნებართვოდ თამაშის გამართვა ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას. აღსანიშნავია, რომ თბილისში გასართობი დაწესებულებები ნებართვის ასაღებად ხუთ მილიონ ლარს უხდიან სახელმწიფოს.

რა არის აუცილებელი სამორინეს გასახსნელად? - კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სამორინეში დამონტაჟებული იყოს და ფუნქციონირებდეს არანაკლებ შვიდი სათამაშო მაგიდა, ამათგან ერთი უნდა იყოს სათამაშო ბორბალი, იგივე რულეტი. თითოეულ სათამაშო მაგიდაზე სამორინე კვარტალურად იხდის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს 15 000 ლარიდან 30 000 ლარის ჩათვლით. სათამაშო აპარატებისთვის ეს თანხა განისაზღვრება 1 500 ლარიდან 3 000 ლარის ჩათვლით. კონკრეტულად, ელექტრო რულეტზე, რომელთანაც კრუპიე არ დგას, მოსაკრებელი არის 3000 ლარი. თითოეულ სათამაშო აპარატში პროგრამულად უზრუნველყოფილია, რომ გასცეს მოგების 75%. დანარჩენი 25% აზარტული დაწესებულების შემოსავალია.

სათამაშო აპარატებზე სხვადასხვა ფსონი არის დაწესებული და მოთამაშეს ერთი ლარიდანაც შეუძლია დაიწყოს თამაში. გარდა ამისა, სათამაშო აპარატს გააჩნია მრიცხველი, სადაც ფიქსირდება თუ რამდენი მოგება გასცა აპარატმა ან რამდენი თანხა წააგო მოთამაშემ. შესაბამისად, სხვაობა გაცემულ თანხასა და მოგებულ თანხას შორის არის მაჩვენებელი, რაც საღონს მოგების სახით დარჩა. ამ თანხიდან მეპატრონე იხდის მოგების გადასახადს, იმის პროპორციულად თუ რა ღირს ქულა კონკრეტულ აპარატზე. მაგრამ არაკეთილსინდისიერმა მეპატრონემ შეიძლება გაანულოს აპარატი, ანუ მრიცხველის მონაცემები წაშალოს, რაც გადასახადების დამალვის ერთ-ერთი გზაა. რაც შეეხება მოგების გაცემის წესს, აზარტული თამაშების დაწესებულება 100%-ით უნაღდებს ფიზიკურ პირს მოგებულ ფსონებს და საგადასახადო ორგანოსთან, 2010 წლის 1 აპრილიდან შემოსავლების სამსახურთან, თვითონ არკვევს ურთიერთობას.

რეგულაციების მიუხედავად, საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა სამორინეების, სლოტ-კლუბებისა და ტოტალიზატორების რიცხვი. ამაზე მიუთითებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ჩატარებული კვლევაც აზარტული თამაშების ბაზრის შესახებ საქართველოში. კვლევის მიხედვით, აზარტული თამაშების ბიზნესის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო 2011 წლიდან, როდესაც ამ სექტორის ბრუნვამ 3.2- ჯერ გადააჭარბა წინა წლის ბრუნვას, ხოლო მიღებულმა მოგებამ 54-ჯერ გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს.

2012-2013 წლებში აზარტული თამაშების სექტორში კიდევ უფრო მასობრივი ზრდა დაფიქსირდა და წლიურმა ბრუნვამ 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო სათამაშო ბიზნესისა და ნებართვის მოსაკრებელმა 105.2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1.4%-ია. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, 2013 წელს ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 5 046 იყო, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 0.3% შეადგენს.

ამავე კვლევიდან ირკვევა, რომ 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 213 სხვადასხვა ტიპის აზარტული თამაშების ნებართვა იყო მოქმედი, მათგან ყველაზე მეტი - 93 ტოტალიზატორის, 55 სათამაშო აპარატების სალონის. არსებული მონაცემებით, ბაზარზე არის 94 მოქმედი საწარმო. აქედან 32 მსხვილი საწარმოა. ამ ტიპის ბიზნესი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული თბილისში, რომელსაც მოსდევს ბათუმი და ქუთაისი.

რაც შეეხება საშეღავათო ზონებს, მთავრობის [N463—ე] დადგენილებით, 2014 წლის 4 აგვისტოს სამორინეების სანებართვო მოსაკრებლის ნლიური განაკვეთებისა და შეღავათების დადგენის წესში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც სამორინეს მოწყობაზე მოსაკრებლის ნლიურ განაკვეთზე დაწესებული შეღავათი კახეთის რეგიონში, სოფელ კაჭრეთის ტერიტორიაზე გავრცელდა. კაჭრეთის გარდა, გამონაკლისია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ბათუმში, დუშეთის რაიონში — ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთსა და ბორჯომში მოსაკრებელი 250 ათასი ლარია, ის სამორინეკი, რომლის მფლობელიც ქალაქში 100-ნომრიან სასტუმროს გახსნის, სალიცენზიო გადასახადისგან თავისუფლდება. წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სანებართვო მოსაკრებელი სამორინეს მოწყობისათვის გაუქმებულია.

გამოსათხოვარი

ზიზო ბიკაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ-ნი ზიზო ბიკაშვილი, რომელიც იყო ერთ-ერთი იმ პირველი პედაგოგთაგანი, რომელსაც სულ ახლადგახსნილ მუსიკალურ სკოლაში მოუწია მუშაობის დაწყება.

სკოლა მადლობას უხდის ქ-ნ ზიზო ბიკაშვილს ერთგულებისათვის და კეთილშობილებისათვის.

სკოლა იზიარებს მათი კოლეგის, ქ-ნი ზიზოს შვილის ხათუნა ფიროსმანაშვილის და მისი ყველა ახლობლის მწუხარებას.

თანამშრომლები.

გახსენება

სოსო ბილანიშვილი

ჩვენო აღზრდილო, სოფლის სიამაყევ, ჭირსა თუ ლხინში ყველას თანამდგომო, სოსო ბილანიშვილო, მინდა გითხრათ, რომ ქვემო ქედში, შენს საყვარელ და მშობლიურ სოფელში მაისია: გარშემო ჩიტების საამური ჭიკჭიკი ისმის, ვარდებიც იშლებიან, მაგრამ მაისს თითქოს სცხვენია, რომ ორი წლის წინ შენმა დაბადების თვემ ნაადრევად წაგართვა ნაბოძები სიცოცხლე დედისერთა ვაჟს, რითაც საშინელი ტკივილი მიადგა შენს საყვარელ დედას, ჩვენი სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგს, შენი მზის მოფიცარ- თამარ ჩარბოდაშვილს და არა მარტო მას, მთელ სკოლას, სოფელს, შენს მრავალრიცხოვან სანათესაოს; ყველას, ვინც კი გიცნობდა და შენი კაიკაცობის მადლიერი იყო.

სოსო, გვეჩვენება, რომ ეს თვე მოკრძალებულად შემოვიდა, თითქოს სცხვენია, რომ ასეთი სისასტიკე ჩაიდინა... დიდი ტკივილია შენი აღმზრდელებისთვის მაგიდასთან მჯდარი, შენზე ფიქრებში გარინდებული დედის ცქერა, რომელიც ოცნებებით შენს მარადიულ სამყაროში წვდომას ცდილობს, მაგრამ მისი ძლიერი ხასიათის გამო, პირველი სწვდება ჟურნალს ზარის დარეკვისთანავე და გარბის საკლასო ოთახებისკენ გაკვეთილების ჩასატარებლად, რადგან თითოეულ მოსწავლეში შენს სახეს ხედავს; მას უამრავი „სოსო ჰყავს" მათი სახით, რაც აცოცხლებს შენთან შეხვედრის იმედთან ერთად, ამავე დროს, შენ ხომ მას დიდი იმედი დაუტოვე შენი ვაჟიშვილის- მიშიკოსა და ქალიშვილის-თაკოს სახით.

შენმა ძლიერმა დედამ, დიდი პრობლემების მიუხედავად, მიშიკოს ჩააბარა შენი დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა და ის არ გააცივებს ბილანიშვილების დიდ კერას.

ჰოდა, ცხოვრებას აგრძელებენ შენს კერაზე „მგლის ლეკვები" და ისე არ დაეცემიან, რომ შეარცხვინონ ოჯახის ტრადიციები, ბებოსა და მტერ-მოყვარეს არ მიხედონ; მამიდებს: ნინოსა და ელზას, მამიდაშვილებს სახლის კარები ფართოდ არ გაუღონ.დედაშენი შენს სიცოცხლეში შენი არსებობით ხარობდა, ახლა შენი „არარსებობით" ძლებს, რადგან ის შენს სულზე ზრუნვასა და საფლავის მოვლაზე ფიქრობს, აკეთებს ყველაფერ იმას, რაც შენს „დიდ ოჯახს"-საიქიოში სჭირდება: შენ ხომ იქ დაგხვდნენ პაპა, საყვარელი მამა- ისიც ნაადრევად წასული ამ ქვეყნიდან, გამზრდელი ბებო და, ვინ ჩამოთვლის-რამდენი?! დარწმუნებულნი ვართ, რომ უსაქმოდ ვერ გაძლებ იქაც.

მაისი შენი დაბადების დღეა, საყვარელო სოსო, 43-წლისთავია,შვილო და გახსოვდეს: გვიყვარხარ! გვახსოვხარ! გილოცავთ და ვემთხვევით შენს სამარეს!...

შენი აღმზრდელი სკოლის პედაგოგები - ქვემო ქედის საჯარო სკოლიდან.

დაბადების დღეს გილოცავთ ცათა სასუფეველში ტკბილმოსაგონარო, თავმომწონე და ამაყო, სიცოცხლეზე შეყვარებულო, მაგრამ მასზე თვალდარჩენილო ფშაველო ბიჭო. მეორედ მოვიდა ვარდობისთვე უშენოდ ქვემო ქედში, მეორედ ხვდებიან შენს დაბადების დღეს სიკვდილისგან დაღლილი დედაშენი, ლელაშენი საოცარი სიყვარულის თანამგზავრი, შენი შვილები, დები, სანათესაო და მთელი სოფელი.

2013 წლის აღდგომის დილამ თავზარი დაგვცა, ხალხს საკუთარი მიცვალებულები დაგვავიწყა შენმა საშინელმა ტრაგედიამ. ტკივილამდე ენატრები შენს და „ჩვენს დედას", ქალს, რომელიც დღენიადაგ შენ გელაპარაკება და ყველაფერს შენით სწონის, შენით ძლებს, „სოსოს დედას არ მეპატიება დაჩაჩანაკებაო."

ჩვენც ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, სოსო ძია! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა. ვეცდებით, როგორმე გავაძლებინოთ ჩვენს დედას უშენობა.

უფალს ვთხოვთ, სიმშვიდე დაგიმკვიდროს და ყველა ჩვენგანის მონატრებამ გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

ქვემო ქედის საჯარო სკოლის XI კლასი.

მეუღლე ტარიელ ფიროსმანაშვილი; შვილები: ზაზა და ხათუნა. შვილიშვილები: ნიკა, დავითი, ზურაბი და ლევანი; შვილთაშვილი ნიკოლოზი; რძლები: მეგი და თათია. სიძე გიორგი პოპიაშვილი მწუხარებით იუწყებიან

ზიზო ბიკაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 7 მაისს დედოფლისწყაროში.

უახლოესი მეზობლები: გურამ მოლაშვილი, თამარ ჯანაშვილი, მერაბ ბაცაცაშვილი, ვასილ გონაშვილი, ბესიკ პოპიაშვილი, ნანული ჭიღიტაშვილი, თამაზ ბრეგვაძე, გელა ალადაშვილი, ნათელა გიგაური, გოგი გიგოლაშვილი, გულო ლეკაშვილი იუწყებიან

ზიზო ბიკაშვილ-ფიროსმანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ნაირა გორაშვილი მწუხარებით იუწყება მეგობრის

ზიზო ბიკაშვილ-ფიროსმანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებენ ხათუნა ფიროსმანაშვილს დედის

ზიზო ბიკაშვილ-ფიროსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ციცინო მაჩაბლიშვილი და ჟუჟუნა ღორაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ტარიელ, ზაზა და ხათუნა ფიროსმანაშვილებს მეუღლისა და დედის

ზიზო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები: ელიზა სულაშვილი, ნათელა პოპიაშვილ- ბენაშვილი, ზაურ ფიროსმანაშვილი, ელიზბარ ღორაშვილი, ჯუმბერ სულაშვილი ოჯახებით იუწყებიან თანაკლასელის

ზიზო ბიკაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს, ასევე თანაკლასელს ტარიელ ფიროსმანაშვილს და შვილებს ზაზას და ხათუნას ოჯახებს.

პატარა ვირტუოზების კონკურსზე ჭიურიში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ისხდნენ

წელს შესრულდა 330 წელი უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის ი. ს. ბახის დაბადებიდან.

ნიუ-იორკის ,,სამეფო აკადემიამ“ 2015 წელი გამოაცხადა ბახის საიუბილეო წლად. ბევრ ქვეყანაში ჩატარდა კონკურსები და ამ მოვლენას საქართველოც შეუერთდა. კერძიდ, ქ. თბილისის ხელოვნების აკადემია, მისი რექტორი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ბ-ნი ვალერიან შიუკაშვილი.

კონკურსი მიმდინარეობდა 24-28 აპრილს. მონაწილეობა მიიღო ასამდე მუსიკოსმა, 7-დან 18 წლამდე. მინდა აღვნიშნო, კახეთი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქ. თელავის მუსიკალური თერთმეტწლედით და დედოფლისწყაროს მუსიკალური ექვსწლედით. ჟიურის ხუთი წევრიდან ორი საეთაშორისო კლასის პიანისტები იყვნენ:ვ. შიუკაშვილი და თ. ლიჩელი.

ძალიან ძნელია პროვინციაში, მხოლოდ ექვწლედის არსებობის პირობებში მოწაფე მოამზადო და გაიყვანო ისეთ კონკურსზე, სადაც ვირტუოზულობის მთელი კასკადია მოსალოდნელი.

მალვინა ისმაილოვამ პედაგოგ ნინო ლაპიაშვილთან ექვსი წელი იმეცადინა წარმატებით. ბავშვის სკოლაში დარჩენის მოთხოვნით და ჩემი რჩევით მან წელს მეცადინეობა გააგრძელა ქ-ნ თამილა ნადირაშვილთან.

ვფიქრობ, ქ-ნ თამილა ნადირაშვილის პროფესიონალიზმზე ცალკე წერილი უნდა დაიწეროს და მომავალში ამას გავაკეთებ.

კონკურსზე მალვინამ შეასრულა: 1. ი.ს. ბახი- სამხმიანი ინვენცია N3. რე მაჟ. და 2. კლოდ დებიუსი- არაბესკა N1.

მალვინამ მიიღო მესამე პრემია და ლაურეატის წოდება.

ნიუ-იორკის ,,სამეფო აკადემია“ საპატიო დაფაზე მოათავსებს ყველა ქვეყნის ლაურეატის სახელს და გვარს და მათ შორის იქნება:

მალვინა ისმაილოვა- მესამე პრემია

ქ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა

საქართველო.

ვულოცავ მალვინას ამ შემოქმედებით სიხარულს.

ვილოცავ ქ-ნ თამილა ნადირაშვილს პედაგოგიურ გაბრწყინებას.

ვულოცავ ხელოვნების სკოლას და ვუსურვებ ნიჭიერ თაობებს.

მინდა ვისარგებლო ამ გარემოებით და საჯაროდ გადავუხადო ულრმესი მადლობა ლია ხაჩიაშვილს, ლადო ათანელის მოწვევისთვის და მისი შემოქმედების ასე გაშუქებისთვის და ორგანიზებისთვის.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორი:
მარიამ კიკილაშვილი.

ფერმერთა საყურადღებოდ!

შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ჩალაუბნის სერვისცენტრში ფუნქციონირებს ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია. მიმდინარეობს კვლევები აზოტის, ფოსფორის, კალიუმის, PH-ის (მჟავიანობა) და მარილიანობის დოზების შესახებ. შესაბამისად ფერმერებს ეძლევათ რეკომენდაციები ნიადაგის განაყოფიერებისათვის საჭირო სასუქების თაობაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ:
599 88 19 53 ეკა ქადაგიშვილი.
შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ჩალაუბნის სერვისცენტრი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- საკონსულტაციო სამსახური.

ულოცავენ!

უშანგი წყარუაშვილს!

გილოცავთ საიუბილეო თარიღს – 85 წლისთავს. საბედნიეროდ, ისე მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებით, ასაკი სულაც არ გეტყობათ. სულ ასე იუმორით სავსე, ღიმილიანი, გახარებული, ბედნიერი და ჯანმრთელი ყოფილიყავი შენს დიდ ოჯახთან ერთად. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები.

რას ნიშნავს ფერადი ნიშანი კბილის პასტებზე და რომელი არ უნდა შევიძინოთ...

ალბათ შეგიმჩნევიათ, მაგრამ ყურადღება არ მიგიქცევიათ ფერადი ნიშნისთვის, რომელიც კბილის პასტის ტუბის ძირშია.

აღმოჩნდა, რომ ამ ნიშანს ბევრი რამის თქმა შეუძლია თავისი ფერით. ყველა კბილის პასტას სხვადასხვა შემადგენლობა გააჩნია და სწორედ ამას გადმოგვცემს ეს ნიშანიც, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ რომელი ფერი რას გვეუბნება, რათა უკეთ შევძლოთ ჩვენთვის სასურველი კბილის პასტის შერჩევა ყიდვისას:

მწვანე — ბუნებრივი და ნატურალური შემადგენლობა.
ლურჯი — ბუნებრივი + სამკურნალო (მედიკამენტური).
წითელი — ბუნებრივი + ქიმიური.
შავი — სრულიად ქიმიური.

ზოგიერთი ადამიანი არ ენდობა ნიშანს და არსებობს მოსაზრება, რომ ნიშნის ფერს არავითარი კავშირი არ აქვს კბილის პასტის შემადგენლობასთან, თუმცა შეგვიძლია ჩვენით გადავამოწმოთ მარტივად თუ წავიკითხავთ კბილის პასტის ტუბზე დატანილ ინფორმაციას შემადგენლობის შესახებ.

მჯდომარე ცხოვრების ყოველი საათი ადამიანს სიცოცხლეს 22 წამით უმოკლებს

მჯდომარე ცხოვრების ყოველი საათი ადამიანს სიცოცხლეს 22 წამით უმოკლებს

ცხოვრების უმოძრაო, მჯდომარე სტილი რომ მძიმე დარტყმას აყენებს ჯანმრთელობას, ამაზე დღეს აღარავინ დავობს. ერთს შეგახსენებთ მხოლოდ, უმოძრაო ცხოვრება მსოფლიოში სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს შორის, არაინფექციური პათოლოგიებიდან (ფაქტორებიდან), მეოთხე ადგილზეა. მედიკოსთა განმარტებით, ადამიანები რომ ყოველ საათში სულ ორიოდე წამით დგებოდნენ ფეხზე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაბამისად, პრობლემის არსი ძირეულად შეიცვლებოდა.

ოფიციალური რეკომენდაციების თანახმად, დღეში მინიმუმ 30-წამიანი ფიზიკური აქტივობაა საჭირო. ხოლო სტრატეგია "სულ ორიოდე წამი ყოველ საათში" ამ მაჩვენებელთან მიახლოების საშუალებას იძლევა. აღნიშნულ აქტივობას კვირაში 2,5-3 საათიანი ზომიერი ინტენსივობის ვარჯიშიც უნდა დაემატოს.

ეს დასკვნა სპეციალისტებმა გამოიტანეს 3243 მოხალისეზე (რომლებიც აქსელერომეტრებს ატარებდნენ) სამწლიანი დაკვირვების შედეგად. უიტისა და კოლორადოს უნივერსიტეტების სამედიცინო სკოლების თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ თუ ადამიანები უბრალოდ იდგნენ ამ ორი წამის განმავლობაში, არანაირი განსხვავება არ შეინიშნებოდა, ხოლო თუ აქტიურობდნენ - ვარჯიშობდნენ ან აჩქარებული ნაბიჯით სეირნობდნენ, სიკვდილის რისკი 33 %-ით ქვეითდებოდა.

როგორც გაირკვა, სკამზე გატარებული ანუ მჯდომარე ცხოვრების ყოველი საათი ადამიანს სიცოცხლეს 22 წამით უმოკლებს, ხოლო ფიზიკური ვარჯიშის ყოველი საათი 90 წამით უხანგრძლივებს. ეს ლოგიკურია, ადამიანის ორგანიზმი ხომ მოძრაობისა და აქტივობისთვისაა შექმნილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.05	სამშაბათი 12.05	ოთხშაბათი 13.05	ხუთშაბათი 14.05	პარასკევი 15.05	შაბათი 16.05	კვირა 17.05
დღე	13 °	13 °	14 °	13 °	15 °	13 °	14 °
ღამე	12 °	12 °	12 °	12 °	12 °	10 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K